სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

00557512258620

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200962735

რეგისტრაციის თარიღი

25.11.2020 წ

ნოტარიუსი: ლანა ხანიშვილი
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N48
ტელეფონი: +995595272888

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის ოცდახუთ ნოემბერს, მე, ნოტარიუს ლანა ხანიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N48, მომმართა ბატონმა **თამაზ დაუშვილმა** (დაბ. 16.08.1974წ. თბილისში, პ/ნ 01006003392, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა, N 6), რომელიც წარმოადგენს **შპს „დიო“-ს** (რეგისტრირებული 13/03/1996წ. საიდენტიფიკაციო N201946573, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხანცინცაძის ქ., N79) აღმასრულებელ დირექტორს, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან და საზოგადოების წესდებისა. **თამაზ დაუშვილმა** განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მას, განვუმარტე აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის რომ, მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. **თამაზ დაუშვილმა** მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებითს პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცი წლის ოცდახუთ ნოემბერს, **შპს „დიო“-მ** (საიდენტიფიკაციო N201946573), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი“ ან „კომპანია“, რომელსაც წარმოადგენს საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი **თამაზ დაუშვილი,**

ლევან ჩხაიძეს (დაბ. 03.02.1966წ. პ/ნ 01009018088), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „რწმუნებული“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. „რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს „მარწმუნებლის“ წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, მათ შორის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, შეიტანოს განცხადება, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

2. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდახუთი ნოემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგა ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ხანიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელის წარმომადგენელს. სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 08/04/2020წ. (ელექტრონული ასლი).

შპს „დიო“-ს წესდება, რომელიც ერთვის სარეგისტრაციო წარმოებას N190822684 - ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

„მარწმუნებელი“ ----------

ნოტარიუსი
ლანა ხანიშვილი